ნეტარი ავგუსტინე, როგორც მაგალითი ცხოვრებისეული კრიზისების გადალახვისთვის

მირანდა ცერცვაძე*

შესავალი

თუკი კაცობრიობის ისტორიას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ყველა ეპოქა თავისი გამოწვევებით, დადებითი და უარყოფითი მხარეებით ხასიათდება. პიროვნება კი ამ გამოწვევებს თავისი ინდივიდუალურობით, ხასიათით, ემოციებით, გრძნობებითა და მოთხოვნილებებით პასუხობს. ადამიანებს, ეპოქის მიუხედავად, შინაგანი სიმშვიდისა და რეალიზებისკენ სწრაფვა აერთიანებთ. ნაწილი ამას ახერხებს, ნაწილი კი ვერა. ნეტარი ავგუსტინეს ცხოვრების ისტორია ამ ყველაფრის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია. პრობლემები, რომლითაც მისი პერიოდი ხასიათდებოდა, აქტუალურობას არც ახლა არ კარგავს.

ნეტარი ავგუსტინე მორწმუნე ოჯახში გაიზარდა, სადაც მასზე და მის მომავალზე ზრუნავდნენ. ერთი შეხედვით ყველაფერი ჰქონდა წარმატებული კარიერისა და პირადი ცხოვრებისთვის. ამის მიუხედავად წლების განმავლობაში იგი სიმშვიდესა და ცხოვრებაში საკუთარ ადგილს ვერ პოულობდა, რისი მიზეზიც მრავალგვარია.

ჩვენს განვითარებაზე, რეალიზებაზე, საკუთარი ადგილის დამკვიდრებაზე შინაგანი და გარეგანი მოვლენები ერთდროულად ახდენენ გავლენას. მნიშვნელოვანია მშობლების დამოკიდებულება ერთმანეთისა და შვილის მიმართ; აღზრდის მეთოდები; მათი სოციალური ცხოვრება, აქტივობა და კულტურა. ნიშანდობლივია ოჯახის რელიგიურობა, თუ რამდენად მიმართავენ მასში რელიგიური აღზრდის მეთოდებს და შეესაბამება თუ არა ეს მეთოდები შვილის ასაკს. ეკლესიაში არსებული განათლების პრობლემები აისახება და აზარალებს მასთან დაკავშირებულ ოჯახებს და ზოგადად, საზოგადებას. ზედმეტად მკაცრი აღზრდის სტილი შემდგომში შე-

* ფსიქოლოგიის მაგისტრი, STEP-ის მაგისტრანტი (ვენა, ავსტრია).
miratsertsvadze@gmail.com

საძლოა არაერთი ფიზიკური, ფსიქიკური და სულიერი პრობლემების მიზეზი გახდეს. ოჯახი ამზადებს საფუძველს შვილის მომავალი ცხოვრებისთვის.

ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელია მოწყენილობა და მობეზრება. გარკვეული დროის შემდეგ დგება მოწყენილობის ეტაპი, პიროვნება ცხოვრობს, მუშაობს, მაგრამ სიხარულის განცდა იკლებს, რეალობას თავს არიდებს და გაურბის მას. იგი ახალ ეტაპზე გადასასვლელად მოტივაციას ვერ პოულობს, ან ირჩევს ისეთ გზებს, რომლებიც მდგომარეობას ართულებენ, მაგ., დროებით ხდება რაიმე იდეოლოგიის მიმდევარი, აგროვებს სექსუალურ გამოცდილებებს და ა.შ.

თანამედროვე ადამიანს უკეთესი შესაძლებლობები აქვს რეალიზებისთვის, სურვილების შესრულებისთვის, წარმატებული კარიერის შესაქმნელად და ა.შ. ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ ეკოლოგიაზე, ჰუმანიზმზე, ჯანსაღ ცხოვრებაზე, განათლებასა და უფლებებზე, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ფსიქიკური დაავადებების რიცხვი მაინც იზრდება. ადამიანს სულ უფრო უჭირს შინაგანი მოწყენილობის, მობეზრების გადალახვა და ავთენტური სიხარულის განცდა. მსგავსი მდგომარეობა ავგუსტინესაც ხშირად ჰქონდა, თუმცა იგი დიდი ხნით არ ჩერდებოდა ერთ ადგილზე, ძიებას არ წყვეტდა და ხშირად გაუცნობიერებლად ეძებდა სიბრძნეს, ჭეშმარიტებას, კითხვებზე პასუხებსა და სიყვარულს. ეს ყველაფერი მან ქრისტიანობაში აღმოაჩინა. სწორად დეფინიცირებული ქრისტიანობა ადამიანს ისეთ სიყვარულს ჩუქნის, რომლის შეთავაზება სხვა სფეროებში ნაკლებადაა შესაძლებელი, იგი განმკურნებელი მეთოდი ხდება.

ნეტარი ავგუსტინეს პიროვნებისა და მისი ცხოვრების გამოსაკვლევად მრავალი მეთოდი არსებობს. ამ ეტაპზე ფსიქო-სოციალური მოდელის განხილვას შემოგთავაზებთ, რომელსაც მისი ბავშვობიდან დავიწყებთ.

ოჯახური ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი, ვირჯინია სატირი ამბობს, რომ „ოჯახი არის „ფაბრიკა, დაწესებულება“, სადაც პიროვნება აღმოცენებასა და განვითარებას იწყებს. სწორედ აქ ვეცნობით პირველად სამყაროს; შესაბამისად,

პირველი ადამიანები, გამოცდილება, განცდები ადამიანის განვითარებაში დიდ როლს თამაშობენ. ყველა ოჯახი განსხვავებულია და მათში შემდეგი ასპექტები გვხდება:

- გრძნობები და წარმოდგენები, რაც ოჯახის წევრებს საკუთარი თავის მიმართ გააჩნიათ.
- ტექნიკები, რომლის მეშვეობითაც ოჯახის წევრებს ერთმანეთთან კომუნიკაცია აქვთ.
- წესები – თუ როგორია მათი მოქმედებები, როგორი უნდა იყოს მათი რეაქციები ამა თუ იმ მოვლენის მიმართ.
- როგორ დამოკიდებულებაშია ოჯახი საზოგადოებასთან, როგორია მათი სოციალური ცხოვრება და აქტივობა.“[1]

ღმერთის გაცნობაც ოჯახში იწყება. მშობლები აქ გადამწყვეტ როლს თამაშობენ. რელიგიასა და მის მორალურ მხარეებზე უბრალოდ საუბარი საკმარისი არ არის. ბავშვები აკვირდებიან ყველაფერს, განსაკუთრებით კი ქცევას.

* * *

ნეტარი ავგუსტინეს ბავშობის რელიგიურმა გამოცდილებამ მის ცხოვრებაზე თავისებური ასახვა ჰპოვა. იგი 354 წელს თაგასტეში, რომის პროვინციაში, დღევანდელ ალჟირში დაიბადა. მამა წარმართი გახლდათ, დედა კი მორწმუნე ქრისტიანი, რომელიც ქმრისა და შვილების მდგომარეობაზე გამუდმებით ღელავდა და მათი გაქრისტიანებისთვის ყველაფერს აკეთებდა. ოჯახისთვის შვილების განათლება სერიოზულ საკითხს წარმოადგენდა, რაც ნამდვილად განახორციელეს.

ავგუსტინეს დედას მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იმაზე, თუ როგორი იყო მათი ურთიერთობა საწყის ეტაპზე, სამწუხაროდ, ბევრი დეტალის თქმა არ შეგვიძლია. თუმცა, ახალგაზრდა ავგუსტინე ცდილობს ოჯახისგან შორს მოიპოვოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. იგი მიემგზავრება იტალიაში,

[1] Satir V., Selbstwert und Kommunikation, Familientherapie für Berater und zur Selbsthilfe, Klett-Cotta, 2018, 13.

სადაც მალევე ჩადის მონიკაც, რომელსაც ერთადერთ სურვილად შვილის მონათვლა ჰქონდა. ავგუსტინეს წმინდა წერილთან დამოკიდებულება თავდაპირველად ნეგატიური გახლდათ და იგი მისთვის არანაირ ავტორიტეტს არ წარმოადგენდა. [2]

ახალგაზრდა ავგუსტინე კარიერული წინსვლითაა დაკავებული, რასაც ნამდვილად აღწევს. იგი ხდება რიტორი, მისი შემოსავალი იზრდება და უკეთესი ცხოვრების საშუალება ეძლევა.

მის ცხოვრებაში 373 წელს ახალი ეტაპი იწყება. იგი ეცნობა ციცერონის „ჰორტენსიუსს“, და იწყებს ძიებას, თუ რა არის ჭეშმარიტი სიბრძნე. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ იმედი უცრუვდება და ახალი თავგადასავლის ძებნას შეუდგება. ბავშვობის რელიგიური გამოცდილება გავლენას ახდენს მის სწრაფვაზე, რომ აღმოაჩინოს ის, რაც მას მოუტანს სისავსეს. ჭეშმარიტების მაძიებელი ავგუსტინე ამ პერიოდში ხვდება საზოგადოებას, რომელთათვისაც ქრისტე ჭეშმარიტების მასწავლებელი და გამომხსნელი გახლდათ. ავგუსტინე ახალი აღმოჩენით აღფრთოვანდება შემდეგი მიზეზების გამო:

- მანიქეიზმი უარყოფდა ძველ აღთქმას, რაც მისთვის გაუგებარი გახლდათ;
- ქრისტე მიიჩნეოდა ჭეშმარიტების მასწავლებლად და სრულყოფილების სიმბოლოდ. მას შეეძლო თავისუფლად, ღიად ესაუბრა ყველა საკითხზე.
- მას გამუდმებით ჰქონდა კითხვა, თუ რატომ არსებობდა ბოროტება, რასაც მანიქეიზმი დუალიზმის პრინციპით ხსნიდა, რომლის მიხედვითაც, არსებობს სიკეთისა და ბოროტების პრინციპი, რაშიც ადამიანს წვლილი არ მიუძღვის.[3]

ავგუსტინე ფიქრობდა, რომ მანიქეიზმს მისი ინტელექტუალური და რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შეეძლო.

---

[2] Augustinus – Leben und Werke, <https://www.grin.com/document/93419> [16.10.2021]

[3] შეად., Brox N., Augustinus Weg, 6-17, 7. Der hl. Augustinus als Seelsorger, Augustinus-Colloquium 20-24 Mai, 1991. 1993 by EOS Verlag Erzabtel St. Ottilien, D-86941 St. Ottilien.

თუმცა, წლების შემდგომ, მან კვლავ განიცადა იმედგაცრუება. იგი ხედავდა აცდენას მათ სწავლებასა და მოქმედებებს შორის, თუმცა, დატოვებას არ ჩქარობდა. ავგუსტინეს გადამწყვეტი საუბარი მანიქეველ ეპისკოპოსთან ჰქონდა, რომელსაც არ შეეძლო მის კითხვებზე პასუხის გაცემა.

ავგუსტინე მისი ცხოვრების კიდევ ერთ მნიშვნელოვან პროცესს ამთავრებს და შინაგანი სიცარიელე რჩება. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მდგომარეობა, რომელსაც იგი *„აღსარებანში“* აღწერს, დეპრესიის სიმპტომებს მიეკუთვნება.

წარმატებული პირადი ცხოვრება ბედნიერების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რაც ბევრი ადამიანისთვის არც ისე მარტივადაა მისაღწევი. რაც უფრო უკეთ იცნობს პიროვნება საკუთარ თავს, მით უკეთესად შეუძლია შექმნას მისთვის სასურველი ცხოვრება და არ შეწყვიტოს ძიება. არსებობენ სიტუაციები, როდესაც ადამიანები ღმერთთან ურთიერთობას სწორედ რომ კრიზისების მეშვეობით იწყებენ. ასე იყო ავგუსტინეს შემთხვევაშიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას მრავალფეროვანი ცხოვრება ჰქონდა. რაც შეეხება მის პირად ცხოვრებას, იგი აღსარებანში აღწერს სიყვარულისადმი სურვილს და 372-383 წლებში, კართაგენში, კონკუბინთან ნაქონ ურთიერთობას. ეს ურთიერთობა მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო, რომლისგანაც შვილიც დარჩა. მის სახელს არსად ახსენებს. უნდა ითქვას, რომ მისი მორწმუნე დედისთვის ოფიციალური ქორწინების გარეშე შეძენილი შვილი მიუღებელი გახლდათ.

ავგუსტინეს პიროვნებისათვის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი თვითრეფლექსია და საკუთარ თავთან კომუნიკაციაა. ადამიანური ურთიერთობები და თანაარსებობა გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი კომუნიკაციის გარეშე წარმოუდგენელია.[4] როგორც კომუნიკაციის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი წარმომადგენელი პაულ ვაცლავიკი თავის ერთ-ერთ აქსიომაში ამბობს: „ადა-

[4] Satir V., Selbstwert und Kommunikation, Familientherapie für Berater und zur Selbsthilfe, Klett-Cotta, 2018, 12.

მიანს არ შეუძლია, არ ჰქონდეს კომუნიკაცია“[5]. როდესაც ორი ადამიანი ერთმანეთთან იმყოფება, მიუხედავად იმისა, საუბრობენ თუ არა, ისინი კომუნიკაციაში არიან ჩართულები, იქნება ეს ქცევა, სხეულის მოძრაობა თუ სხვა რამ. თუკი პიროვნებას, პირველ რიგში, საკუთარ თავთან აქვს გარკვეული კომუნიკაცია, იცნობს როგორია, რა სურს, რა არის მისი ღირებულებები, როგორია მისი საზღვრები, მაშინ, მისი კომუნიკაცია სხვებთან გარკვეულია და ურთიერთობაც უფრო მეტად ღია და სასიამოვნოა. კომუნიკაცია გულწრფელობითა და ავთენტურობით უმჯობესდება. ბევრ ადამიანს, სამწუხაროდ, არ შეუძლია პირად ემოციებს, გრძნობებსა და სურვილებს სახელი დაარქვას, გადმოსცეს და გააჟღეროს. ამგვარი ადამიანები თავს არიდებენ საკუთარ თავთან დარჩენას, რის გარეშეც შეუძლებელია ღმერთთან ჯანსაღი, პიროვნული ურთიერთობის დაწყება.

ავგუსტინე ცხოვრების ყველა პერიოდში ცდილობდა კითხვებზე პასუხები ეპოვა. გარეგან ფაქტორებთან ერთად მისი შინაგანი მდგომარეობაც მნიშვნელოვანი გახლდათ. პროფესია, პირადი ცხოვრება და ღმერთის ძიება მისი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, თუმცა, ეს ყველაფერი არ უკავშირდებოდა იმ ღმერთს, რომელსაც იგი იქამდე იცნობდა.

პროფესიული ცხოვრებიდან გამომდინარე იგი რომში მიემგზავრება, შემდეგ კი მილანში, სადაც მისი ფინანსური შემოსავალი უფრო იზრდება. მაგრამ მას ეს არ აკმაყოფილებს. არაერთი იმედგაცრუების შემდგომ, იგი შინაგან კრიზისს განიცდის და სკეპტიკურად უდგება საკითხს – აღმოაჩენს თუ არა ჭეშმარიტებას. თუმცა, მისი შინაგანი თავისუფლების შეგრძნება სწორედ ამ პერიოდში იწყება.[6] ცხოვრების ახალ ეტაპს სწორედ მილანში ეყრება საფუძველი, რაზეც უდიდესი გავლენა გარემოცვამ იქონია. აქ ავგუსტინე ქრისტიანობას, საკუთარ მშობლიურ გამოცდილებასთან შედარებით განსხვავებული ფორმით გაიცნობს, რაშიც დიდ როლს ამბროსი

---

[5] Sprache und Kommunikation, Was ist Kommunikation? <ibit.ly/0pnO>[30.12.2020].

[6] Brox N., Augustinus Weg, 6-17, 10. Der hl. Augustinus als Seelsorger.

მედიოლანელი შეასრულებს. ქრისტიანული რწმენა ავგუსტინესთვის გასაგები და მიმზიდველი ხდება, რაზეც ნეოპლატონიზმმაც მოახდინა გავლენა.[7] ამბროსის ქადაგებები მისთვის შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ამბროსის პიროვნება თავადაც ძალზე საინტერესოა, იგი ეპისკოპოსობამდე პოლიტიკური ფიგურა გახლდათ და რიტორიკით გამოირჩეოდა. ავგუსტინეს ცხოვრებაში რწმენა და განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. თუკი იქამდე იგი ძვ. აღთქმას ვერ იგებდა, ახლა მისით დაინტერესდა. ქრისტიანული სწავლება, რომლის მიხედვითაც ბოროტება სიკეთის ნაკლებობაა, ავგუსტინესთვის მისაღები აღმოჩნდა, თუმცა შინაგანი წინააღმდეგობები მაინც არსებობდა. აღსარებანში იგი წერს, რომ პავლე მოციქულის ეპისტოლეები მისთვის ძალიან მნიშვნელოვან საწყისებს წარმოადგენდა.

ფილოსოფიით დაინტერესებული ავგუსტინე ბიბლიის შესწავლას აგრძელებს. იგი, ამბროსის დიდი გავლენით, კვლავ იწყებს ბიბლიასთან ურთიერთობას და ინტელექტისა და რწმენის რეალიზებას ახერხებს. იწყება ავგუსტინეს ხელახლა დაბადება.

დასაწყისში ვახსენეთ, რომ ავგუსტინე ეკლესიაში საკუთარ ადგილს განათლების პრობლემის გამო ვერ ხედავდა, ხოლო ამ პრობლემის გამოსასწორებლად კი დიდი დრო დასჭირდა. ეს ძალიან ჰგავს ჩვენს ეპოქასაც. თუკი დასავლეთი რაციონალურობის საფრთხის წინაშე დგას, აღმოსავლეთი რწმენის არასწორად გაგების წინაშე იმყოფება, ეს კი განსაკუთრებით აქტუალური ჩვენს ქვეყანაშია.

ავგუსტინეს ურთიერთობა ბიბლიასთან წარმატებულია. იგი კითხულობს და პირადად იღებს წმ. წერილის სიტყვებს. აღსარებანში ავგუსტინე ამბობს, რომ მისთვის ნათელი გახდა ის, რასაც აქამდე ეძებდა. ცხოვრება, რომელიც მშრალი იყო, ახალ ფაზაში შევიდა. წმ. წერილს იგი მორალური თვალსაზრისით იაზრებს და მისი სიცოცხლის წყარო ხდება. ავგუსტინე ნათლობის გადაწყვეტილებას მიიღებს, რასაც ამბროსი აღასრულებს. მალევე იგი, თავის მეგობრებთან ერთად აფრიკაში მიემგზავრება და ბიბლიის შეს-

[7] იქვე.

წავლას იწყებს. თავად ამბროსი ორიგენეს თეოლოგიითაა მოხიბ-ლული, რომელიც ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენელია. ორიგენე წმ. წერილის სხვადასხვა სახის გაგებაზე საუბრობს. იგი ებრაულ ტექსტს ადარებდა ბერძნულს, რაშიც რაბინებს დახმარე-ბას სთხოვდა. იგი ხაზს უსვამს ისტორიულ მნიშვნელობას, რომ ქრისტე ნამდვილად არსებობდა. იგი წმინდა წერილს სულიერი, მისტიკური და მორალურით სახით იგებს, რაც ავგუსტინეს თეო-ლოგიასაც თან გასდევს.[8] ორიგენე წარმართობიდან არ მოსულა, შესაბამისად, ქრისტიანობის შესახებ წარმოდგენები უკვე ჰქონდა.

ავგუსტინესთვის ყველა სიტყვას აქვს მნიშვნელოვანი დატვირ-თვა, რომლის გაგებაც სიყვარულის გარეშე წარმოუდგენელია. მთელი სწავლება სიყვარულზეა ორიენტირებული. მისი ცხოვრება სწავლებით იყო გაჯერებული, არამხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკულითაც. აღსანიშნავია მისი ფსალმუნების განმარტება. იგი 150 ფსალმუნს სამ ნაწილად ყოფს, პირველი ნაწილი ესაა აღსარებისა და სინანულის გზა, რომელიც მის ცხოვრებას შე-ესაბამება. შემდგომ მოდის ღმერთის დიდება და ამის შემდეგ კი ადამიანი ღმერთის წყალობის ღირსი ხდება. როგორც სულზე მზრუნველი პიროვნება, ავგუსტინე ცდილობს, თითოეულმა ადამი-ანმა საკუთარი, პირადი არჩევანი გააკეთოს. ერთ-ერთ წერილში იგი საკუთარ სულიერ შვილს წერს: „მე არ მსურს, რომ ჩემს სწავ-ლებას ბრმად მიჰყვებოდენენ. თქვენ გაქვთ უფლება ჩემი წიგნების გაცნობის შემდგომ დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრება“.[9] ამას გარ-და იგი თავის სულიერ შვილს – ფლორენტინას წერს: „შენ არ უნდა იფიქრო, რომ ყველა კითხვაზე პასუხს ჩემგან მიიღებ, რადგან მო-გვიანებით, როცა ეს გამართლდება, იფიქრებ, რომ ეს ავგუსტინემ გითხრა და შენს მაგივრად გადაწყვეტილება მან მიიღო“[10]. მის თე-ოლოგიაში ცენტრალური თემა სიყვარულია. **„რაც უფრო მეტად იზრდები სიყვარულში, მით უფრო მეტად იზრდება სილამაზე შენ-ში, რადგან სიყვარულია სულის სილამაზე და იგი გარეთ კი**

[8] იქვე.
[9] Bavel J.T., Gedanken des hl. Augustinus über Seelsorge und Seelsorger, S.79 Der hl. Augustinus als Seelsorger.
[10] იქვე.

არა, არამედ შენში უნდა ეძებო“. აღსარებანში ავგუსტინე აღწერს იესოსთან მის ურთიერთობას, იმას, თუ რა გზა განვლო აქამდე, რომ იგი საკუთარ გულში და ცხოვრებაში ეპოვა.[11]

ავგუსტინეს ცხოვრება არის ჯვარცმა, იესოსთან ერთად აღდგომა და სიყვარულის გამოვლინება. ის, რაც სიყვარულს უკავშირდება, ადამიანის გულს გამორჩეულად ეხება.

დასკვნა

მოცემული თემით თქვენ წინაშე ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრების ასპექტები განვიხილე. იმ ადამიანისა, რომელიც წმინდანი გახდა. ეს გზა სავსე იყო ტკივილით, იმედგაცრუებებითა და დიდი სევდით, რის დაძლევასაც იგი ცდილობდა უარყოფით, გაქცევითა და სექსუალური გამოცდილებით, რის შედეგადაც ავგუსტინე არათუ სიმშვიდეს პოულობდა, არამედ, სულ უფრო იძირებოდა საკუთარ ტკივილში. ჩემს პრაქტიკაში ხშირად ვხვდები ადამიანებს მსგავსი პრობლემებით და ამ პრობლემების მოგვარებისათვის არჩეული გზებიც ხშირად ავგუსტინეს შემთხვევების მსგავსია. გერმანიასა და ავსტრიაში არსებული დიდი, თანამედროვე ფსიქიატრიული და ფსიქოთერაპიული დაწესებულებები ადამიანებს სულზე ზრუნვის პრაქტიკას სთავაზობენ. აქ შეხვდებით სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელ სასულიერო პირებს. პაციენტები ხშირად იწყებენ ბიბლიის კითხვას და მწვავე კრიზისების დროს ღმერთზე საუბრობენ, სვამენ კითხვებს, მაგრამ გაცემული პასუხები მომხიბვლელი არც ისე ხშირადაა, რადგან აქცენტი უმეტესად ღმერთზე, როგორც დამსჯელ სუბიექტზე კეთდება, და არა უახლოეს მეგობარზე, რომელიც გამუდმებით აძლევს ადამიანს წამოდგომის საშუალებას. ქრისტიანობა თავისთავად ხომ განმკურნებელი რელიგიაა, რომლის ცენტრშიც სიყვარული დგას.

თანამედროვე ადამიანს უჭირს ცხოვრების აზრის პოვნა, ხშირად იგი ეკლესიისგან ისევე ხდება დაზარალებული, როგორც ავ-

[11] Augustinus von Hippo – Zitate, <https://www.quotez.net/german/augustinus_von_hippo.htm> [10.01.2021]

გუსტინე, რომელიც შემდგომში ამბროსის ხვდება, მაგრამ ყველას არ აქვს ბედნიერება მის მსგავს ეპისკოპოსს შეხვდეს, განსაკუთრებით კი ჩვენს ეპოქაში. რა ხდება ამ დროს? უამრავი ადამიანი ზურგს აქცევს ეკლესიას. ძიების ავგუსტინესეული პიროვნული სურვილი და პირადი გარემოცვა სინთეზურად შეიკრა, რამაც იგი სასურველ მდგომარეობამდე მიიყვანა. მისთვის ყოველი კრიზისი კიდევ ერთი ახალი შანსი გახლდათ; უიმედობას იმედი ცვლიდა, რომლის მეშვეობითაც, საბოლოოდ, მან საკუთარი თავი, ღმერთი და სრულიად სამყარო შეიყვარა. ავგუსტინეს თეოლოგია კი მოიცვა ამ სიყვარულმა, რის გამოც იგი დასავლეთში სიყვარულის თეოლოგად იწოდება.

ST. AUGUSTINE AS AN EXAMPLE FOR OVERCOMING LIFE CRISES

Miranda Tsertsvadze*

St. Augustine is viewed as one of the most important Church Fathers and his writings influenced the development of Western philosophy and Christianity. It is the aim of this article to focus on ways to resolve various types of crises through Augustine's personal life.

Article pays a serious attention to the fact, that two women figures prominently in Augustine’s life: his mother, Monnica (who was a devout Christian and seems to have exerted a deep influence on his life and views) and his partner for fourteen years, the mother of Adeodatus. According to this paper, love is a crucial notion in Augustine’s ethics, It is closely related to virtue and this has a particular impact on his life.

The city of Milan has a special place in the life of Augustine. In Milan he underwent the influence of Bishop Ambrose, who taught him the allegorical method of Scriptural exegesis which played an important role in his future life.

Modern man, like Augustine, is suffering from various problems and often he tries to find a solution in the Church, but unfortunately not everyone is so lucky to meet a bishop like Ambrose, which causes that lots of people are turning their backs on the church.

Keywords: Saint Augustine, Milan, Ambrose, Love, Life Crises.

* Master of Psychology, Master Student of STEP. miratsertsvadze@gmail.com